



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №16

2012 წლის 15 თებერვალი

ქ. ქობულეთი

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ქობულეთის კულტურის ცენტრი“-ს დაფუძნების შესახებ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2007 წლის №574 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ქობულეთის კულტურის ცენტრი“-ს დაფუძნების შესახებ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2007 წლის №574 ბრძანებაში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ქობულეთის კულტური“-ს წესდება დამტკიცდეს თანახმად დანართისა.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2007 წლის №574 ბრძანებით დამტკიცებული „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ქობულეთის კულტურის ცენტრი“-ს წესდება.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას (ა. კაკაბაძე).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ქობულეთის კულტურის ცენტრის

წ ე ს ღ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქობულეთის კულტურის ცენტრი არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი დაწესებულება, რომელიც წესდების საფუძველზე ახორციელებს კულტურულ, საბიბლიოთეკო, შემოქმედებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდისა და სამუზეუმო საქმიანობას, ამ სფეროებში დაწესებული სახელმწიფო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.
2. ქობულეთის კულტურის ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
3. კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილ ფარგლებში ცენტრი ანგარიშვალდებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე.
4. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ცენტრს გააჩნია უფლება დამოუკიდებლად აწარმოოს ურთიერთობები საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან. ცენტრი უფლებამოსილი არ არის განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომლის უფლებაც მას მინიჭებული არ აქვს სამართლებრივი აქტებით ან ამ წესდებით.
5. ქობულეთის კულტურის ცენტრი საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს. ამყარებს საქმიან კონტაქტებს როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დებს გარიგებებს. უფლება აქვს საკუთარი სახელით გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.
6. ქობულეთის კულტურის ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, ანგარიში საბანკო დაწესებულებაში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
7. ქობულეთის კულტურის ცენტრის იურიდიული მისამართია: ქ.ქობულეთი, ლესელიძის ქუჩა №1.
8. ქობულეთის კულტურის ცენტრი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2. ქობულეთის კულტურის ცენტრის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

1. ცენტრის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები:

- ა) ხალხური შემოქმედების ნიმუშების მოძიება, აღრიცხვა და განვითარება. საახალხო მოქმედების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და კოლექტივების გამოვლენა, მუსიკალური, ქორეოგრაფიული და ზეპირსიტყვიერი ფოლკლორული მასალების შეგროვება, შესწავლა და პოპულარიზაცია, ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და თამაშობების აღორძინებისათვის ზრუნვა, ხალხური რეწვის (ხელოსნობა) მივიწყებული, ტრადიციული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია;
- ბ) განახორციელოს შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მოსახლეობის მომსახურება როგორც ადგილზე გაცემით, ისე ასლების გაგზავნით;
- გ) კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკის საცავებში დაცული ლიტერატურით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები) მკითხველთა სარგებლობის უზრუნველყოფა საჭირო ინფორმაციითა და ხელსაყრელი პირობების შექმნით პიროვნების შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა;
- დ) განახორციელოს ხალხური თვითშემოქმედების საერთო და ჟანრობრივი დათვალიერება კონკურსების ჩატარება. ტრადიციული დღესასწაულებისა სხვა სახეიმო საიუბილეო ღონისძიებების ორგანიზება;
- ე) კოორდინატობა გაუწიოს სამეცნიერო-ტექნიკურ ტურებს და მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი კონკურსების ჩატარებას.
- ვ) მოსწავლე – ახალგაზრდობისათვის მუნიციპალიტეტის ისტორიული წარსულის და აწმყოს უკეთ გაცნობის მიზნით სათანადო ორგანიზაციებთან ერთად ტურისტული მარშრუტების დადგენა, გზამკვლელების, პლაკატების და სხვა თვალსაჩინო ლიტერატურის შემუშავება და გამოცემა.
- ზ) დადგენილი წესით კულტურის ცენტრს შეუძლია ურთიერთობა დაამყაროს და დადოს ხელშეკრულება განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა სფეროებში სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებთან.
- თ) გაუწიოს ხელმძღვანელობა არსებული სამუზეუმო მასალების დაცვა-შენახვას. ექსპოზიციების, სამუზეუმო კოლექციების რესტავრაციას და ინვენტარიზაციას მათი პოპულარიზაციის მიზნით.
- ი) უფლებამოსილია საჭირო პედაგოგიური რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის შემთხვევაში, გახსნას სხვადასხვა ფასიანი წრეები და შესაბამისად მოიზიდოს კონტიგენტი.

მუხლი 3. ქობულეთის კულტურის ცენტრის უფლებები და ვალდებულებები

1. ქობულეთის კულტურის ცენტრს დაკისრებული ვალდებულებებისა და ამოცანების განსახორციელებლად უფლება აქვს:

ა) აწარმოოს მოლაპარაკებები და დადოს გარიგებები, აგრეთვე განახორციელოს სხვა იურიდიული ქმედებები, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციებთან..

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს დამხმარე სახის ეკონომიკური საქმიანობა. ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მოახმაროს მხოლოდ ცენტრის მიზნებს, აგრეთვე ცენტრის წესდებით გათვალისწინებული სხვა ამოცანების განხორციელებას.

გ) აწარმოოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან (მათ შორის სახელშეკრულებო) ურთიერთობანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დ) განსაზღვროს კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტებით ცენტრით სარგებლობის წესები, მიიღოს შესაბამისი ზომები კულტურის ცენტრისადმი მატერიალურ ზიანის მიყენების შემთხვევაში;

ე) ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით განსაზღვროს კულტურის ცენტრის სტრუქტურა, საშტატო განრიგი და ცენტრის თანამშრომელთა სახელფასო ფონდი.

ვ) საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით შეიმუშაოს ცენტრის შინაგანაწესი.

ზ) განახორციელოს „კულტურის შესახებ“, „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონებით, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილებანი;

2. ქობულეთის კულტურის ცენტრი ვალდებულია:

ა) წარმართოს თავისი საქმიანობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

ბ) დაიცვას ცენტრის მომსახურებით მოსარგებლე პირთა უფლებები.

მუხლი 4. ქობულეთის კულტურის ცენტრის სტრუქტურა და მართვის ორგანიზაცია

1. ქობულეთის კულტურის ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი;

ბ) შემოქმედებითი კოლექტივები. (ქორეოგრაფიული და ვოკალური ჯგუფები);

გ) სტრუქტურული ერთეულები (სასოფლო კლუბები და კულტურის სახლები);

დ) მოსწავლე-ახალგაზრდობის მუშაობის განყოფილება;

ე) საბიბლიოთეკო განყოფილება;

ვ) სამუზეუმო განყოფილება;

2. ქობულეთის კულტურის ცენტრს მართავს დირექტორი. (შემდგომში „დირექტორი“), რომელიც აგრეთვე ანხორციელებს კულტურის ცენტრის წარმომადგენლობით უფლებას.

მუხლი 5. ადმინისტრაცია

1. ქობულეთის კულტურის ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი.

2. ქობულეთის კულტურის ცენტრის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სკრებულოს თავმჯდომარე მუნიციპალიტეტის გამგებლის წარდგინებით.

3. დირექტორად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, ორგანიზაციული საქმიანობის უნარ-ჩვევები და არ მიუღწევია 65 წლის ასაკისათვის.

4. დირექტორი:

ა) კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებლად ხელმძღვანელობს ცენტრის საქმიანობას, მოქმედებს ცენტრის სახელით და სპეციალური მინდობილობის გარეშე წარმოადგენს მას მესამე პირთან ურთიერთობაში.

ბ) პერსონალურად პასუხისმგებელია ამ წესდებისა და ცენტრის საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტებისა.

გ) კანონით დადგენილი წესით პასუხისმგებელია ცენტრის საქმიანობის სწორად წარმართვის, ცენტრის ქონების, მათ შორის ფულადი სახსრების მიზნობრივ ხარჯვასა და გამოყენებაზე.

დ) თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ (ადმინისტრაციულ) აქტს – ბრძანებას, რომელთა შესრულება სავალდებულოა ცენტრის ყველა თანამშრომლისათვის. ხელს აწერს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ ფინანსურ და სხვა დოკუმენტებს.

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

ვ) ანაწილებს ფუნქციებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სამსახურეობრივ ზედამხედველობას ცენტრის თანამშრომლების საქმიანობაზე. მართავს თათბირებს, პერიოდულად ისმენს ანგარიშს თანამშრომელთა საქმიანობის შედეგების თაობაზე. ცენტრის სახელით სამოქმედოდ გასცემს მინდობილობას ცენტრის თანამშრომლებზე და სხვა პირებზე.

ზ) უზრუნველყოფს კულტურის ცენტრის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებას და დასამტკიცებლად წარუდგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

თ) ბრძანებით ამტკიცებს ცენტრის საშტატო ნუსხას, ხელფასის ფონდს და შესათანხმებლად წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს.

ი) ამტკიცებს კულტურის ცენტრში შემავალი განყოფილებების დებულებებს, სამუშაო გეგმებს, და წარუდგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტს მოთხოვნისთანავე.

კ) წარადგენს წინადადებებს მუნიციპალიტეტის საკრებულოში კულტურის ცენტრის წესდებაში შესატანი დამატებებისა და ცვლილებების შესახებ.

ლ) უფლებამოსილია ცენტრის სახელით, გახსნას და დახუროს საბანკო ანგარიშები, დადოს შრომითი და სხვა ხელშეკრულებები (შეთანხმებები) ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მ) უზრუნველყოფს კულტურის ცენტრის ინდივიდუალურ, საავტორო, სახელოვნებო სხვადასხვა პროგრამების პროექტების შემუშავებას და შესათანხმებლად წარუდგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს.

ნ) ასრულებს კანონმდებლობით და ამ დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. ცენტრის საშტატო განრიგით განსაზღვრულ თანამდებობებზე თანამშრომელთა აყვანა ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 6. ქობულეთის კულტურის ცენტრის სახელმწიფო კონტროლი.

1. ქობულეთის კულტურის ცენტრის სახელმწიფო კონტროლი მოიცავს ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების მიზანშეწონილობას, ეფექტიანობასა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. ქობულეთის კულტურის ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარდგენა.

3 ქობულეთის კულტურის ცენტრს უფლება აქვს საკრებულოს თანხმობით განახორციელოს:

ა) გადაცემული ქონების გაქირავება;

ბ) გადაცემული ქონების იჯარით გაცემა.

გ) მის მიერ შექმნილი უძრავი ქონების გასხვისება, დაგირავება, იპოთეკით დატვირთვა, იჯარით გადაცემა, გაქირავება;

დ) სახელფასო ფონდისა და საშტატო განრიგის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები დაწესებულების ქონების შესახებ, თუ იგი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის სფეროს.

4. ცენტრი ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს, არაუგვიანეს 10 დეკემბრისა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში მიმდინარე წელს მის მიერ გაწეული მუშაობისა და საფინანსო-ეკონომიური საქმიანობის შესახებ.

5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია შეაჩეროს და გააუქმოს ცენტრის დირექტორის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 7. ფინანსური უზრუნველყოფა და საბუღალტრო ანგარიშგება

1. ქობულეთის კულტურის ცენტრი დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის მიერ მისთვის კანონით დადგენილი წესით გადაცემული ქონების ბაზაზე, რომელიც მის ბალანსზე არსებულ სხვა ქონებასთან ერთად გამოიყენება მხოლოდ ამ წესდებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

2. ცენტრის დაფინანსების წყაროა:

ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) შემოსავლები, რომლებიც მიიღება ცენტრის მიერ გაწეული კულტურული მომსახურების შედეგად;

გ) სამეურნეო-ეკონომიური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული შემოსავლები მთლიანად ხმარდება კულტურის ცენტრის მიზნებსა და ფუნქციების განხორციელებას და მათი გამოყენება რაიმე სხვა მიზნით აკრძალულია.

4. ცენტრი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურს.

5. ცენტრის წლიურ ბალანსს ამოწმებს შესაბამისი სამსახური.

მუხლი 8. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობას

1. ქობულეთის კულტურის ცენტრი ბიუჯეტს შესათანხმებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

2. მუნიციპალიტეტის გამგეობა ცენტრის ბიუჯეტს ითანხმებს მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

3. ცენტრი უფლებამოსილია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა.

ბ) ცენტრში შესაბამისი კადრებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის შემთხვევაში ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში ახალი განყოფილების გახსნისა.

4. საკრებულოს უარი ამ მუხლით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე უნდა იყოს დასაბუთებული, უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 9. ქობულეთის კულტურის ცენტრის საქმიანობის შეჩერება ან/და აკრძალვა

1. ცენტრი საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

2. თუ კულტურის ცენტრი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, სასამართლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი უფლებამოსილი ორგანოს ან/და დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე განიხილავს და წყვეტს კულტურის ცენტრის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის საკითხს.

3. სასამართლოს მიერ კულტურის ცენტრის საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი უფლებამოსილი ორგანო აუქმებს კულტურის ცენტრის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციას.

მუხლი 10. ზიანის ანაზღაურება

1. კულტურის ცენტრი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა მესამე პირებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას, ისეთი მოქმედების გამო, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

2. კულტურის ცენტრი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით.

მუხლი 11. ქობულეთის კულტურის ცენტრის წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი
ქობულეთის კულტურის ცენტრის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

მუხლი 12. ქობულეთის კულტურის ცენტრის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია

ქობულეთის კულტურის ცენტრის რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.